საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/198 " 12 " ივნისი 2017 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეებზე თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებისა და ზუგდიდის, თელავისა და გორის რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 1 თებერვლის №1/9 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეებზე თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებისა და ზუგდიდის, თელავისა და გორის რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 1 თებერვლის №1/9 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის მიზნებისათვის, აღმოსავლეთ საქართველოს მიეკუთვნება ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, გორის, გურჯაანის, თეთრიწყაროს, თელავის, მცხეთის, სიღნაღის, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთისა და ხაშურის რაიონული, თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, ხოლო დასავლეთ საქართველოს - ამბროლაურის, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ოზურგეთის, სამტრედიის, საჩხერის, სენაკის, ცაგერისა და ხელვაჩაურის რაიონული, ბათუმის, ფოთისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები.".

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი